№ 49 9 მარტი, სამშაბათი. 1866—1882 9 მარტი, სამშაბათი. № 49.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებ-ში [illegible] ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ფერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მოწერებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე მეტი.

თუ ხელმოწერა [illegible] და შეუძლებელ [illegible] გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

**ტფილისის მაზრის წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურთა წარმომადგენელებს, მას კენჭის-ყრაში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო ქონებათა უფლების საბუთები და აგრეთვე მიბრძანდნენ იმის სახლში, მველ დუქნასთან, 21 ამა მარტს, კვირას, დილის 10 საათზედ, როდესაც გაიხსნება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება.**

## ტელეგრამმა

(„საღორთა-შორისო ტელეგრაფის სააგენტოსი".)

პეტერბურღი, 6 მარტს. თეატრს „საზამთრო ღივადიას" გაუჩნდა ცეცხლი ღამის 9 საათზე, წარმოდგენის დროს და სრულებით გადიწვა. თეატრი სავსე იყო ხალხით. ცეცხლის მქრობი კომანდა მეზობელ სახლებს იცავდა. საშინელი ქარია. ცნობაში არ არის მოყვანილი—ხალხი დაიღუპა, თუ არა. ხუთდამ გაუჩნდა ცეცხლი და ამიტომ ხალხს ადვილად შეეძლო თეატრიდამ თავის დახწევა.

გაზ. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია, ტუნისიაში, ვითომც მთავრობას განზრახვა ჰქონდეს ზღვის ტეხნიკურ სასწავლებლის დახურვისა. რიგაში ნავოსნობა დაიწყო. ქვემო ვოლგიდამ ყინული დაიძრა. ქიმიკოსი ბეილშტეინი, რომელმანც სამეცნიერო აკადემიის წევრობაზე იყარა კენჭი, გაშავეს.

მერვში მივიდა პირველი რუსის ქარავანი ვაჭრის კონშინისა და კარგათაც ივაჭრა.

ხარკოვში საშინელი ქარ-ბუქია დღეს და დიდი ზარალი მიუცია ხალხისთვის.

ბლამენეცი პოლიტიკურის მინდობილობით არ წასულა ვენაში; ჩერნოგორიის კნიაჟნის მიღიცას მისაგებებლად წავიდა.

ამბობენ, გოლკენშტეინი იმიტომ მოგზაურობს ბოსნიასა და გერცოგოვინაში, რომ ამ ქვეყნების ხალხს ავსტრიასთან შეერთება ჩააგონოს.

პეტერბურღი, 7 მარტს. „საზამთრო ლივადიის" დაწვის დროს არავინ დაღუპულა; მხოლოდ ბევრს პალტოები და მოსასხმელები დაეკარგათ.

ადრინდელი უფროსი პეტერბურღის დამოყნისა ენგელგარტი სამართალში მისცეს.

ავსტრიის ოფიციალური გაზეთები ამტკიცებენ, ავსტრიას სრულიად განზრახვა არა აქვსო, რომ ბოსნია და გერცოგოვინა სამუდამოთ დაისაკუთროსო.

ამბობენ, ახალი განკარგულება გამოვაო, რომლის ძალითაც მმართებლობისაგან დაყენებულ რკინის გზის ინსპექტორებს უფლება არ ექნებათ, რომ რაიმე სხვა თანამდებობა მიიღონ.

ამ დღეებში ფოჩტის ტაქციას შეამცირებენ: ქალაქს გარეშე გასაგზავნ წერილებისთვის გამგზავნს ექვსი კაპეიკი გადახდება და ქალაქის წერილებისთვის-კი ოთხი კაპეიკი.

## ქართული ენის სწავლების შესახებ

ქუთაისის სათავადო-მამულო ბანკის დამფუძნებელთა კრებამ გავლილის წლის მაისში ერთი ყოვლად ჩინებული და თანაგრძნობის ღირსი გარდაწყვეტილება მიიღო: იმან მიიღო მხედველობაში ახლანდელი შეუფერებელი მდგომარეობა ჩვენს სასწავლებლებში სამშობლო ენისა და მიანდო ამ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს იშუამდგომლოს კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველთან ანუ სადაც ჯერ არს, მთელი საზოგადოების სახელით, რომ ჩვენს გიმნაზიებში სხვა ენებისა და საგნების თანასწორი უფლება და ადგილი მიეცეს სამშობლო ენას; იშუამდგომლონ, რომ მისი შესწავლა უფრო რიგიან საფუძველზედ დამყარდეს. საზოგადოებამ დასძინა ამასთანავე, რომ, თუ სამასწავლებლო მთავრობა დამაბრკოლებელ მიზეზად მატერიალური ღონის-ძიების უქონლობას მოიყვანსო; ქართული ენის მასწავლებლის ჯამაგირს ჩვენ ვიკისრებთო ჩვენ მივსცემო ჩვენი ბანკის წმინდა მოგებიდამაო, ოღონდ კი ქართული ენის სწავლება სავალდებულო საგნათ დააფუძნონ ჩვენს გიმნაზიებშიო, ოღონდ ის შესაფერად და თანახმად პედაგოგიისა ასწავლიან ჩვენ შვილებსო.

ამ გვარი გარდაწყვეტილების მიღება საზოგადოებისაგან, რასაკვირველია, დიდი ყურადღების ღირსი და სასიამოვნო რამ არის, რადგან ეს ნამდვილი საბუთია იმისი, რომ კარგათ სმენია მას ღირსება და ფასი სამშობლო ენის ჯეროვანად შესწავლისა.

ქუთაისის გაზეთს „შრომაში" იწერებიან ახლა, რომ ხსენებული კომიტეტი უკვე შესდგომია ამ საქმესა. ოც-და თერთმეტს იანვარს მიუწოდებია მას სათავადო-მამულო ბანკის ზალაში რამოდენიმე იქაური პედაგოგიები და მცოდნე პირები და ჰკითხავს ამ საგანზედ სჯა და ბაასი ითუ რანაირად უნდა გაუმჯობესდეს გიმნაზიებში ქართული ენის სწავლებაო, რომელი საშუალება უფრო საჭიროა ვიხმაროთ იმის გასაუმჯობესებლად და აღსადგენელადო და სხვა. საჭიროდ დაუნახავთ ტფილისიდამაც მოიწვიონ ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად რამოდენიმე პატივცემულნი პირები.

რაღა თქმა უნდა, იმ პირებს რომელთაც ერთ ხმად მიანდო საზო-

---

„დროების" ფელეტონი, 9 მარტი

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

ამ ხნის განმავლობაში ნუნუს ცხოვრება ჩვეულებრივ მიდიოდა; ესე იგი დილიდგან საღამომდე მუშაობა, საღამოზედ ქათმებთან ერთად დაწოლა, თუმცა ძილი ბევრჯელ გათენებამდინაც არ მოსდიოდა და დახუჭულს თვალებს მარტო იაგოს სახე ელანდებოდა; ხან ბედნიერად, ხან იმის სასიამოვნოდ და უფრო ჩქარ-ჩქარად კი უბედურად, ტანჯულად და წამებულად.

იმის შეუხედლივ სასიამოვნო, თუ საწუხარო იყო ეს სურათები, ნუნუ იტანჯებოდა, რადგანაც ორივე დროს მღელვარება ერთგვარად სტანჯამდა აწუხებდა იმის გულს და ეს კი უღალავდა და უსუსტებდა აგებულებას.

ნუნუს მდგომარეობა მით უფრო ძნელი იყო, რომ იმას ვერავისთვის მიენდო თავის გულის მოძრაობა, თავისი აზრები რომელიც გულში ებადებოდა და ისევ გულში ემარხებოდა, რადგანაც თანამგრძნობელს ვერავისა ჰხედავდა. თავისი მეგობარი მარინეც ამ ხანში, სხვა სოფელში დედის ძმებისას იყო და მაშასადამე ნუნუ ამ მარტო ერთი მეგობარი ქალის ნახვასაც მოკლებული იყო.

მახიამაც, კარგა ხანი იყო რაც, თავი დაანება იმასთან ჩხუბს და ათასში ერთხელ თუ შეხედავდა დამცინავის გვეძლურის თვალით, რომელიც ყველა ლანძღვასა და თრევაზედ უფრო დამჩაგრავი, შემაწუხებელი იყო ბედშავი ნუნუსთვის.

იმას მეტად სტანჯავდა იაგოს უამბობა, რომელსაც თითქო მიწა გახეთქიყო და თან ჩაეტანა; იმისი მნახველი და ამბის მომტანი აღარავინ გამოჩნდა.

ერთხელ მახია აუტყდა ნუნუს, რომლის ძალითი გათხოვებით ზირგოლას ძმაზედ უეჭველად უნდოდა მოეხერხებინა მაგრამ ნუნუ ისე ყოჩაღად დაუხვდა თავის ძალუას, რომ მეორედ ამ გვარი ძალდატანებით ლაპარაკი ველარ გაებედა. ის ჩამოეხსნა ნუნუს თუმცა გულში კი გადიწყვიტა, რომ კარგით თუ ავით, ეს ქორწილი უეჭველად მოეხერხებინა.

ზირგოლა რომელიც ამ ხანში დაბრუნებულიყო, ჩქარ-ჩქარად დადიოდა მახიასთან და ესენი რაკი ერთად შეიყრებოდნენ, ყოველთვისინ რაღაცა საჩურჩულო საგანსა პოულობდნენ.

ონისე, რომელიც მუდამ სამუშაოდ დადიოდა, თითქოს ვერ ამცნევდა ამ ლაპარაკსა და ხანდის ხან განგებ თავსაც კი არიდებდა იმათ.

ერთს დღესაც ზირგოლა სწორედ ისეთს დროს მოვიდა, როდესაც ონისე, მთელის ჯალაბობით და ერთი მოხუცი სტუმრით შინ იყო. ნუნუმ რომელსაც თვალის დასანახავად ეჯავრებოდა ზირგოლა, რა წამს გაიგონა ზირგოლას ხმა წამოდგა და გარედ გასვლას აპირებდა, მაგრამ სტუმარმა, რომელიც კარებში შეხვდა გადუღობა ხელი და შეაყენა.

— ქალაუ, რაისთვის გარბიხარ, რაისთვის მერიდები? უთხრა იმან.

— ბამიშვი, „დაგიბრმა თვალები!" შებუზღუნა ნუნუმ.

— რაისთვის გეჯავრები, რაი დამიშავებია შენთვის? გულ-ნატკენად წარმოსთქვა ზირგოლამ.

— „მარი, მარი მეთქი!" გაიმეორა ნუნუმ და გაუძვრა იღლის ქვეშ.

ზირგოლა შესდგა და, დაღონებულის თვალით გახედა მიმავალს ქალს, ამოიოხრა მძიმედ და თავისთვის წარმოსთქვა:

— გამტანჯე ღვთის მადლმა, მაგრამ ხელიდგან მაინც ვერ წამიხვალ თუ გინდ რაც უნდა მამივიდეს.

ამ დროს ონისე და იმისი მოხუცებული სტუმარი „პაპა" მოვიდნენ და მიესალმნენ ზირგოლას, რომელიც სახლის პატრონმა შინ შეიწვია.

— გარდმოხე, მახიაი გიმასპინძლებს, ჩვენ კი „ცხოვან" უნდა წავიდეთ, საქმე გვაქვს.

— ნუ ონისესი, ნუ წახვალ. უპასუხა ზირგოლამ და დაუმატა:—აი პაპაიც ღვთის კაცია, ეგეც დარჩეს, ეგეც სიტყვას იტყვის; უფროსია გვირჩევს რასმე.

ონისე შესდგა და ისეთის თვალით შეხედა, რომელიც ეუბნებოდა: „ემანდა ჩემი ცოლი, რაც გინდათ ისა ჰქენით! ჩემგან რაღა გინდათ."

ზირგოლა მიხვდა იმის გულის პასუხს და ამისთვის გააგრძელა თავის საუბარი.

*) იხ. „დროება" № 45.

გადოებამ ამ დიდს და მაღალ საგანზედ ზრუნვა, და შუამდგომლობა წინაშე უმაღლესის მთავრობისა, კარგათ ეცოდინებათ თუ რასარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენი ხალხისათვის სამშობლო ენის სწავლების რიგიანად დაწესებას საშუალო სასწავლებლებში; და ყველა ამ ცოდნით აღჭურვილნი, რიგიანის გზით და შესაფერის საბუთებით იშუამდგომლებენ, სადაც რიგია, რომ მიღებულ იქნეს ყურადღებაში ჩვენი თხოვნა. გამოჩენილი მეცნიერები და პედაგოგები გვიმტკიცებენ, რომ მხოლოდ იმ პირს შეუძლიან შეითვისოს საფუძვლიანად უცხო ენებზედ განათლება, რომელსაც პირველად თავის სამშობლო ენა შეუსწავლია ჯეროვანადი, რომელსაც ყველაზე პირველად თავის დედა, ცნობილ ენაზედ გახსნია ნიჭი სწავლის მიღებისათ.

მაგრამ ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში მარტო ის კი არ უნდა იყოს, რომ რომელიმე სხვა უცხო ენის რიგიანათ შესწავლისათვის საჭიროა ჩვენი ენაც ვიცოდეთო.

მართალია, ქართულს ენას თუ ის უფლება მიეცა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში, რასაც საზოგადოთ სამშობლო ენას ანიჭებს პედაგოგია, მაშინ ჩვენი გიმნაზიების პროგრამმებში ცოტა ცვლილება შეიქნება საჭირო; მაგრამ თუ კი ჩვენი თხოვნა ყურადღებაში იქნა მიღებული, ეს დიდ დამაბრკოლებელ მიზეზს არ შეადგენს. ვინ არ იცის, რომ ხსენებულ სასწავლებლებში თითქმის პირველი ადგილი უკავიათ ბერძნულს და ლათინურს ენებს, რომლებიც ტყუილ უბრალოდ უსუსტებენ ტვინს მოზარდ ახალგაზდობას დააკარგვინებენ დიდს დროს, აწევინებენ დიდ შრომას და ცხოვრებაში კი არავითარი ნაყოფი არ მოაქვთ. ჩვენის აზრით, საძნელო არ უნდა იქნეს, რომ ამ უხმარ ენებს მოაკლდეს რამოდენიმე გაკვეთილი და მიემატოს ჩვენს დედა-ქართულს ენას.

სრული იმედია, რომ პატივცემული კომიტეტი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკისა, რომელსაც ვალად დაადვა საზოგადოებამ ეს საქმე, შესაფერის ენერგიით წაიყვანს ამ საქმეს და არც სწავლა განათლების მთავრობა დასტოვებს უყურადღებოთ ამ საფუძვლიან მოთხოვნილებას თავად-აზნაურობისას.

მაგრამ ერთი გარემოება აბრკოლებს კიდევ ჩვენში სამშობლო ენის წარმატებას და ეს უნდა ავიცილოთ თავიდამ, თუ კი გვინდა, რომ ჩვენი არ დავივიწყოთ. ყველამ ვიცით, რომ პირველი სკოლა ბავშვისათვის არის თავის მშობლების ოჯახი, სადაც იგი დაბადებულა, და პირველი მასწავლებელნი არიან მშობლები. მაშასადამე მშობლებს აწევთ პირ-და-პირი მოვალეობა, რომ თავიანთ შვილებს პირველად სამშობლო ენაზედ აადგმევინონ ენა, ამ ენაზე გააცნონ თავის ვინაობა, შეათვისონ პირველად ყველაფერი თავისი ისე, როგორც ყველგან სხვაგან და ყველა სხვა ხალხები შვრებიან, და შემდეგ, თავის დროზედ, რასაკვირველია უცხო ენების სწავლებასაც მიჰყონ ხელი. თორემ, თუ ისე იქნა, როგორც ეხლაა ჩვენში, მეტადრე ქალაქებში, სადაც უცხო ენის სიტყვებს ჩასძახიან ყურში და თუთიყუშსავით აჩვევენ გაუგებარის ენის შეთვისებას, იმ შემთხვევაში გიმნაზიებში რომ კიდეც გაუმჯობესდეს ჩვენი ენის პროგრამმა, ბევრი არა გამოვა რა.

ქაიხ. ჩელოვანი.

## დღიური

იმ უბედურ შემთხვევის გამო, რომელიც ხაშურის რკინის გზის სახელოსნოში მოხდა, ჩვენ მივიღეთ იქიდამ შემდეგი შენიშვნა ამ სტანციიდამ:

„ეს მეხუთე დღეა, რაც აქ ჩამოვიდნენ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ. ზუდიმ-ლევკოვიჩი და იმისაგან მოწვეული ექსპერტები. პროკურორმა და გამომძიებელმა ძალიან მაგრათ მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი: დილიდამ საღამომდინ ძიებაში არიან.

„ყველანი დარწმუნებული არიან აქ, რომ თუ გამოძიება ხეირიანად და მიუდგომელად მოიქცა და შემდეგ სასამართლომაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს, ბატ. ვასილიევი, ბევრიც რომ ეცადოს, თავს ვერ დაიხწევს, დასჯილი იქნება.

„და გასაკვირველი ამ გარემოებაში, სხვათა შორის ისიც არის, რომ რკინის გზაზე მოსამსახურეს ერთსაც ვერ ნახავთ, რომ ამ ბ. ვასილიევის მომავალი დასჯა და იმას თავიდამ მოშორება სასიამოვნოდ არ მიაჩნდეს; მაგრამ მარტო მოსამსახურეებს კი არა, თითქმის გარეშე პირთაც კი უხარიათ ამის, როგორც ამბობენ, ხაფანგში გაბმა. არ ვიცით—რითი დაიმსახურა ამ კაცმა ასეთი საზოგადო სიყვარული!“

* *

პირველი საზოგადო ლექცია ბ. ექიმის ზაბაშვილისა დანიშნულია ზეგისათვის, ამ ხუთშაბათისათვის ქალაქის რჩევის (დუმის) ზალაში. ეს პირველი ლექციები იქნება ქართ ენაზე წაკითხ [illegible] ერებიდამ. [illegible] ურის ენით წაიკითხავს ლექც რომ ყველასთვის, თვით საექიმო მეც ერების ანბანის უცოდინარისთვ ადვილად გასაგები იყოს იმის სიტყ ბი და დარიგებანი.

შემოსავალი ამ ლექციებისა, რო გორც მოგეხსენებათ, „წერა-კითხ გამავრცელებელ საზოგადოებისათ არის დანიშნული, რომელმანც ით ეს ჩინებული საქმე.

* *

ჩვენ გაზეთში იყო ხმას წინ დაბეჭდილი თფ. საქალებო ინს ტუტის ქალების ჩივილი, რომ ს მელ-სასმელი ხეირიანი არ გვეძლევ და ნაკლებათაცაო, ასე რომ მუ მშივრები ვართო. „გოლოსს“ გა უბეჭდია ეს ამბავი და ბოლოს გაზეთი შემდეგ სიტყვებს დასძენ „იქნება ამ საშუალებით ჰფიქრო ახლანდელი მთავრობა საქალებო ინ სტიტუტისა, რომ შეავსოს ფულ რომელიც ამ ინსტიტუტს შეუქმ

* *

ფოთი-თფ. რკინის გზის გამგე აცხადებს, რომ ქარელისა და ბე უბნის სტანციებს შუა თოვლ-ბუ საგან გზა შეკრულიაო და ამის გა დღეს მატარებელი ვერ დადისო.

* *

სურამიდამ გვატყობინებენ, რო გავლილ თებერვლის 26-ს, ღამე, ღაც ბოროტ-განზრახველს გადა ნავთი გაღმა ბაზრის ერთს ხის დ ქანზედ და მიეცათ ცეცხლი. ბ სურამელებისათ, რომ უცბად შე ყეს ეს ცეცხლის წაკიდება და მა გააქრეს, თორემ, ამ ბაზრის ხის დუ ნები, ერთი-მეორეზე არიან მიკრუ

---

— შენთანა მაქვს საქმე, შენთან მოვედ სალაპარაკოდ.

— ჩემთანა? გაიკვირვა ონისემ.

— ჰო, შენთანა.

ონისე კიდევ ჩაფიქრდა რაოდენიმე ხანს და მას შემდეგ წყნარად უპასუხა:

— კარგი... შევიდეთ შინა და იქ მითხარ რაიც გინდა.

— მე-კი წავალ, წარმოსთქვა პაპამა და გაემართა კარებისკენ.

— არა, არა, საჩქაროდ შეაყენა გირგოლამ. შენც აქ იყავ, უფროსი კაცი ღვთის წყალობაა.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი შევიდნენ სახლში, სადაც მარია მხიარულად და ღიმილით მოეგება.

პირველი მისალმების შემდეგ ისინი დასხდნენ გაჩუმებულნი. ყველას პირისახეზედ რაღაცა მღელვარება, მოუთმენლობა და ჩქარა სიჩუმის გაწყვეტის სურვილი ეტყობოდათ.

— აბა, რას ვეტყვი, გირგოლაო, რაი საქმე გქონდა? როგორც იყო დაიწყო პაპამ.

— მითხარი, რაი საქმეა? დაუმატა ონისემ.

— საქმე როგორ-ღა არა მქონდა, თქვენაი ჭირაიმეთ, საქვეყნოდ თავი მეჭრების.

— რაისთვი, რაისთვი? ჰკითხა ონისემ.

— იმისთვი, რომ ქალს აღარ გვაძლევთ!.. თუ არ გინდოდით მოცემა, ურვადი რაღად აიღეთ და თუ ურვადი აიღეთ ქალს რაღად არ გვანებებთ?

ამ სიტყვების შემდეგ ისევ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— რაისთვი არას მეუბნებით? დაიწყო ისევ გირგოლამ.

— აბა, რაი გვეთქმის? რაი უნდა გითხრათ? უპასუხა დაღონებულმა ონისემ.

— მითხარი რამე... თუ გვარს მიწუნებთ ისა სთქვით, თუ ურვადი გეცოტავებათ ის მითხარით, თუ არა და რაისთვი მარცხვენთ თემობაში? არა, პაპაისი გირგოლა მიუბრუნდა მოხუცს.

— ჰაი, ჰაი, რო უნდა ვითხრან რაიმე... რაისთვი არას ეტყვი ონისე?

— რაი ვქნა, ქალაი თავს იკლავს, არ ნდომულობს მაგის ძმას და ძალად საიდან დავაჯერო?

— ჰოო! გააგრძელა მოხუცმა.—თუ ქალს არ უნდა ეგ ცხოა.

— მაშ ურვადი რაღად აიღეს, რაღად მაიმედებდნენ?.. დაიწყო ისევ გირგოლამ.—ღვთის მადლმა, ორნი ძმანი ვართ, ორნივე მაგ საქმეზედ გავწყდებით და მაგ ქალს-კი თავს აღარ დავანებებთ.

— მაგას რაისათვი უზნობ ონისესი, რაისათვი?.. სიყვარული ძალად არ იქნების? დაიწყო პაპამ, რომელსაც ეგონა, რომ იმის მოაზრებულს სიტყვებს გავლენა ექნებოდა გირგოლაზედ.

— ურვადი რაისთვი-ღა აიღეს, თუ ქალის იმედიც არა ჰქონდათ? იმეორებდა ისევ თავისას.

— რაი უყოთ, რომ აიღეს? პირველი ხომ არაა მაგისთანა საქმე ხევში?.. ბევრჯელ ყოფილა მაგისთანა მაგალითი ჩვენ თემობაში, ღვთის მადლმა თემობას ჯორ დაწერილებიც ბევრი გაუყრიათ და გაუშორებიათ ერთურთისგან. თუ-კი სიყვარული და გემრიელობა არ ექნებათ, რაღა ცოლ-ქმრობა იქნების.

— ეგ იქნება უწინ იყო, იქნება უწინ თემობას ჰქონდა მაგისთანა ძალა, მაგრამ ეხლა თათრობა ხომ აღარაა? ეხლა ქრისტიანების ხელში ვართ, ღმერთმა უშველოს რუსებსა, ეხლა სუყველა ზაკონის კანონზედ არის... არა, პაპაუ, ურვათი აუღიათ, ქალი უნდა მამცენ, მე რად მინდა ან თემი და ან სხვა? მე წინანდელს ჩვეულებას-კი არ მივყვები, წა ერთს სიტყვას ვეტყვი დიანბეგს, ჩალნიკსა და ქალსაც წავიყვან ონისესაც დავღუპამ! ღვთის მადლ ცოლ-შვილით დავაღუპინებ.

— გირგოლაი, ნუ, ნუ სჩადით გას! ღვთის გულისთვი, ნუ სჩ აბა ძალად ჯვარის წერა, რაი ქრ ტიანობაა, რაი სამართალია?.. რაისთვი გინდა ან დიანბეგი, ან ჩალნიკი? რაისთვი გინდა იმათან ვილი? შენმა მეზობელმა თუ გაწყ ნა რაიმე, შენივე მეზობლები შე რე, მონახე უფროსი კაცები და რა იმათ გითხრან ის გაიგონე.

— არა პაპაუ, მე თემის ხალხი მინდა, მე ზაკონის გზა კარგად ვიც მკაცრად წამოიძახა გირგოლამ წამოიწივა.

— ზაკონის გზა ის თუა, რომ ქალს, რომელსაც არ უყვარს შენ ძმა, ძალად ჯვარი დასწეროდ იმაზედ გაჯავრდა პაპა.

— მე ხელმწიფის სამსახურში ვა მე ეგრე ადვილად როდი ამაგდე ბენ მასხარად. ცხარობდა გირგოლ

— თემის პირს ნუ არღვევთ; ნა ქვამია: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“

— თემი, შენიჭირიმე, დაცინ წამოიძახა გირგოლამ.—ძალიან რა

და მთელი ბაზარი სულ ერთიან გადაიწოდაო. დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენოთო.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ხახმატისა და ბისოს მცხოვრებ ხევსურებს დანდობილი კაცები (დეპუტაცია) გამოუგზავნიათ თავიანთ მღვდელზე მ. ბ.-ზე საჩივლელად, რომელსაც აბრალებენ, რომ ხახმატის ეკკლესიიდამ მოიპარაო ოც-დაათამდინ ოქროსა და ვერცხლის თებშები და სხვა საეკკლესიო სამკაული. ეს ნივთები ამ ერთის წლის წინათ დაიკარგაო. ხალხს ვერა გაეგო-რა თუ ვინ მოიპარა და ვინ გაზიდა; ბოლოს ერთმა შემთხვევამ გამოააშკარავა ეს საქმეო: ერთი გლეხი და ხსენებული მღვდელი რაღაცაზედ წაეჩხუბნენ ერთმანეთს, და გაჯავრებულმა გლეხმა გამოაცხადა, რომ ის ოქრო-ვერცხლის ნივთები მღვდელმა მოიპარა და ამა-და-ამ ალაგასა აქვს მიწაში ჩაფლულიო, ზემოდამ ქერი აყრიაო.

თუ ეს ამბავი მართალია, თუ მღვდელმაც სულიერ მამამაც კი გაბედა საეკკლესიო ქონების შეხება, მაშინ ავაზაკებისაგან რაღათ უნდა ვეკვირდეს ამგვარი საძაგელი ბოროტ-მოქმედება...

იმედია, სასულიერო მთავრობა სასტიკ გამოძიებას მოახდენს ამ საქმის თაობაზედ და თუ მართალი გამოდგა, სამაგალითოდ დასჯის ხსენებულ მღვდელსა.

* * *

გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ საქალებო პროგიმნაზიისათვის ამ პროგიმნაზიის კომიტეტის თავს-მჯდომარეს ბ. სემიონოვს უქირავებია თ. რ. ე-ის სახლი, რომელიც თითქმის ქალაქს გარეთ არის აშენებულიო; მომეტებულ ნაწილ შაგირდებისათვის დიდათ საძნელო იქნება იქ სიარულიო, მარიანაშვილის სახლიც კი ეშორებათ ახლაო და იქ სულ ვერ ივლიან, რადგან შუაგულ ქალაქიდამ უკანასკნელი ვერს-ნახევარი არისო. მეორე უბედურება კიდევ ის არისო, რომ, როგორც ამბობენ, ბ. სემიონოვს ეს ხალხი ათის წლის ვადით დაუჭერია და წელიწადში ას-ოთხმოც თუმნათაო. ათ წელიწადში ვინიცის რა მოხდება, იქნება ერთი-ორად გაიაფდეს გორში სახლებიო და ან ას-ოთხმოც თუმანს საიდამ მისცემენ, თუ სწავლის ქირა არ მოუმატეს ღარიბ შაგირდებსაო...

* * *

ეს სამი დღეა; რაც ქალაქში საშინელი ქარია და მტვერი; თან ცივა ისე, რომ ზამთარშიაც არ ყოფილა ასეთი საგრძნობელი სიცივე.

—

დღეს, საღამოს 8 საათზე, სადგილ-მამულო ბანკში, არის დანიშნული ჩვეულებრივი სხდომა „ვეფხის-ტყაოსნის“ რედაქციისა.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**ლეჩხუმი**, 1 მარტს. ძალიან ცუდი ზამთარი დაგვიდგა წელს; საზოგადოთ ჩვენში დიდი ზამთარი იცის, უჩვეულონი არ გახლავართ დიდი თოვლისა, თითქმის ნახევარი წელიწადი ჩვენი დედა-მიწა შემოსილია სპეტაკად თოვლითა, და უხვად გვასაჩუქრებს ხოლმე თოვლ-ჭყაპითა და სულის შემხუთველ ქარ-სუსხით. თუმცა ამ გვარები ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში, მაგრამ ამისთანა საშინელ ცივ ზამთარს კი არ მოვსწრებივართ ილაჯი წაილო ამ საშინელმა ყინვებმა. შელარაფრით ვიპატივეთ თავი; მადლობა ღმერთს, კიდევ ეს რამოდენიმე დღეა ცოტათი იკლო ყინვამ, თორემ ცუდათ იყო საქმე.

როგორც ისმის, მარტო ჩვენში არ არის წელს ასეთი დიდი ზამთარი, დანარჩენ მხარეებშიაც ჩვენის ქვეყნისა საკმაოდ მოსულა; მაგრამ იმათ რაუშავთ, მეტადრე ქალაქებში მცხოვრებთ, სადაც ყოველ-გვარი საშუალებაა! ვიკითხოთ ჩვენ, სოფლელებმა, რომლებზედაც უფრო ძლიერი გავლენა აქვს ყოველთვის ამ გვარ ცუდ ზამთარს. წინ ცეცხლი გვწვავს ბუხართან მიჩხუკულს და უკან სიცივე. დროს-გატარება, ნაცნობის ნახვა, ტოლ-ამხანაგში გარევა ხომ სულ მოსპობილი გვაქვს უგზოობით.

სიცივეს რომ როგორმე გაუძლოს კაცმა და გაბედოს გარეთ გამოსვლა, რა უნდა ქნას, რა საშუალებით უნდა მიახწიოს თავის დანიშნულ ადგილზედ, როდესაც გზა არსად არის და კვალი? თვით დაბა ლაილაშში და მის მახლობლად არ არის ისეთი გზები, რომ კაცს შეეძლოს ცხენით გავლა! ვინ არის ყურის-მგდებელი, ვინ არის მძებნელი?

დროს-გატარებისათვის ვინ სულელი გამოვა ეხლა კარში, მაგრამ რა უნდა ქნან იმათ, რომლებსაც იბარებს სასამართლო? თუ არ მივიდნენ, ჯარიმა და ხათაბალა. ვის აქვს მისი თავი! და თუ მივიდნენ, რა საშუალებით, რომ გზა არსად არის? ზოგან სულ შეკრულია თოვლით და ზოგან ყელამდის იფლებიან ღრმა ტალახში.

„დროების“ მკითხველებმა იციან, რომ ჩვენი მაზრის საზოგადოების მოწინავე პირებს განზრახვა ჰქონდათ, თუ უმაღლესი მთავრობა დაეთანხმებოდა მათ სურვილს, დაეარსებინათ ამ მაზრაში ურთი-ერთ ნდობის კასსა, რომლის დანიშნულება იქნებოდა, რომ ხელი გაემართა საჭიროების დროს ამ მაზრის მცხოვრებთათვის, რომელიც კი მონაწილეობას მიიღებდა მის დაფუძნებაში, ესესხებია ფული და აქედამ შემოსულის მოგებიდამ დაეკმაყოფილებია ამ მაზრის ხევის თავები ჯამაგირით, რომელსაც საზოგადოება დაუნიშნავდა მათ.

ეხლა, როგორც გვესმის, ეს საქმე ძალიან აბურდულა: უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა აღარ არის თანახმა; ზოგიერთი პირების მოქმედებით საზოგადოება იჭვში შეიყვანა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ნაირი ამხანაგობის დაფუძნება საზოგადოების შინაურული საქმეა და თუ თვით საზოგადოება არ მიიწვევს ამ გვარ შემთხვევაში რომელიმე ადგილობრივ დაწესებულების წარმომადგენელს ისე არა აქვს უფლება გაერიოს. აქ კი ასე არ მიდის საქმე: როგორც ამბობენ, აქაურს მაზრის უფროს საზოგადოების დაუკითხავად მიუღია თავის თავზედ ეს საქმე და ბრძანება გაუცია, რომ შეწერილი ფულები ყველამ საჩქაროდ წარადგინონ მასთან! გლეხ-კაცებზედ ადგილობრივ მამასახლისებს აქვთ ნაბძანები ფულების გარდახდევინებაო და კეთილშობილთ ოჯახებში პრისტავები დაიარებიან და თხოულობენ ფულებსა: გინდა თუ არა უნდა მისცეო!

ამ გვარ პოლიციურის წესით ფულების გარდახდევინებას ძალიან შეუწუხებია და დაუფრთხია ხალხი: „არ გვინდა რაღაც ოხერია ეს ბანკი, ჯერ არ დაარსებულა და ასე გვიშვებიან, რომ დაარსდეს, მაშინ სულ უარესს

---

არაა, ჩვენი თემი!.. მე ზაკონით გესაუბრებით, ზაკონით... მაგრამ რას გელაპარაკებით, მაძლევთ ქალსა თუ არა? მიუბრუნდა ისევ ონისეს.

— ვინ გიჭერს ქალსა, ვინა? დაიძახა ონისემ, რომელსაც კარგად ესმოდა ბირგოლას ძალა.

— სულ ეგრე იძახით და ბოლო-კი აღარა ჩანს.

— თუ კი არ უყვარს შენი ძმა, საიდგან უნდა მისცენ? ჩაუმატა ისევ პაპამ.

— არა, პაპაისა, ჩვენ მაგის დღე არა გვაქვს, რომ ქალი დაუჭიროთ. გაურია სიტყვა მახიამ, რომელიც აქამდინ ჩუმათ იჯდა და ლაპარაკში არ ერეოდა.

— ეგ ხელმწიფის სამსახურშია, წარმოსთქვა ისევ ონისემ — ჩვენ მაგასთან ბრძოლის თავი ვინ მოგვცა? დეე წაიყვანოს ის ქალი შავაი.

— რაი სთქვი ეგა? წამოხტა გაჯავრებით პაპა. — ფუი შენს ნამუსს, ქუდი აღარ გხურამს თავზედ?.. დიაცი ყოფილხარ ონისე, დიაცი!.. ძალამ ისე როგორ უნდა შეგაშინოს, რომ ოჯახიდგან ქალი გაიყვანო და ისეთს კაცს მისცე, რომელიც თქვენ ქალს არ უყვარდეს?.. აჰუ! მშიშარაი ყოფილხარ, მშიშარაი, მოკვდეს შენისთანა კაცი! ხელის ჩაქნევით და სიბრაზით წარმოსთქვა პაპამ.

— რაისთვი სჯავრობ, პაპიასი, დაიწყო მახიამ. — მაშ ისა სჯობს რომ ყველანი ციმბირს გაგზავნონ ერთაი ქალაშავას გულისათვი.

— ციმბირს რაისთვი გაგზავნიანთ?.. მაშ სამართალი აღარა ყოფილა, ხალხი გაწყვეტილა? ცხარობდა პაპა, — ამისთანა მაიმუნებმა უნდა შეგაშინონ? ვაი ჩემო ყმაწვილ ბიჭობავ, რა გითხრა, თორემ მე ვაჩვენებდი ემას თამაშას.

— ღვთის მადლმა, თუ ნუნუ არ მომცეს, ეგრე მოვაშორებ ონისეს აქაურობას, რომ აქაური ღურბელიც ველარ დაინახოს, დაიკვეხა ბირგოლამ.

— ვინა, შენია?.. აი შე „ბუგრიანო,“ სადა, მაქვს ეს დაბნა ტიალი, რომ ეხლავ ხმას არ გაგაწყვეტინებ!

ამ სიტყვებით საჩხუბრად მიიწია პაპამ ბირგოლაზედ, მაგრამ ონისე და მახია შუაში ჩაუდგნენ და გააშველეს.

პაპა თუმცა მოაშორეს, მაგრამ ის მაინც არა მშვიდდებოდა და იწევდა ბირგოლაზედ, რომელსაც თავის მხრით დევდო ხანჯალზედ ხელი და ის მოელოდა იმას. ონისემ როგორც იყო პაპა გაიყვანა გარეთ გაისტუმრა და თითონ-კი ისევ შინ შემოვიდა.

— დამაცადოს, მაგ გაშტერებულმა და თუ ბეგარაში სული არ ამოვართვი, მე გირგოლაი არ ვიქნები. დეემუქრა ისაული.

ამის შემდეგ ისინი ისევ დამშვიდდნენ და დაიწყეს თავიანთ საქმეზედ ლაპარაკი.

— არა, შენი ჭირიმე, ჩვენ ქალს არ გიჭერთ; მოდით როცა გინდათ, წაიყვანეთ თქვენი ქალი. უთხრა ონისემ.

— ოღონდ შენ-კი დასტური დამეც და ვინც წამართოს აღალი იყოს.-ღვთის მადლმა, თუნდა დღესვე გავიტაცებდი.

— აქედგან. ნუ, ბირგოლაისი თორემ მაგათაც მამის ძმები ჰყავსთ, უხიფათოთ არ დაგანებებენ, გააფთხილა მახიამ.

— მაშ საითა?

— მაშ ან მთაში, ან წისქვილში გავგზავნით და მაშინ შეგატყობინებ გაიტაცეთ და რაიც გინდათ ის უყავით.

— რამდენიმე ხანი გახიზნება-კა მოგინდებად ამ სოფლიდგან. დაუმატა ონისემ.

— მაგისი-კი მე ვიცი, წარმოსთქვა მხიარულად ბირგოლამ. — მაგრამ როდისა, როდის?.. აგერ ორი კვირაა ჩემი ძმა შინა მყავს, მეცხვარედ სხო დავიჭირე და ის დადის ცხორში, ნინიაიც სჩქარა უნდა გავგზავნო, თორემ თუ საქონელში პატრონის თვალი არა ბრუნამს „წყალსავით დაილევის.“

— დაილევის ღვთის მადლმა, დაილევის. დეემოწმა ონისე.

— თოლ-ყური ჩვენკე გქონდეს, მზად იყავ და რამწამს საქმე ხერხად მოვა მე მაშინვე შეგატყობინებ.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი კიდევ რამდენიმე ხანი დარჩნენ ერთად და ცოტა მუსაიფის შემდეგ დაიშალნენ.

ბირგოლამ იმავე დღეს დაიბარა, რამდენიმე შეარაღებული ოსი რომლებიც ხევში განთქმული იყვნენ თავიანთი ავაზაკობით და უპატიოსნო მოქმედებით.

ამ დღიდგან ის მზათ იყო ნუნუს გასატაცებლად და ელოდა მხოლოდ მახიას კაცს რომელსაც დრო და ადგილი უნდა შეეტყობინა.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება.)

გვიზმენო! თუ ჩვენი საკუთარი სურვილით ვაარსებთ, ბოქაულებს რაღათ გვისევენო? ვინ არის ბანკირი? ვის უნდა ჩაბარდეს ეს ჩვენი ფულებიო და სხვა? ზოგიერთები უარზედ დამდგარან, არ მიუციათ ფულები: ჯერ საქმე არ გადაწყვეტილა, წესდება არ მოგვისმენია—თუ რა რიგით ფუძნდება, არჩეული პირი არავინ გვყავს, რომ ჩაიბაროს ფულებიო და ასე არ გადვიხდითო! მაგრამ უმეტეს ნაწილს ვლეხ-კაცობისას კი გარდუხდია.

ძალიან გვაკვირვებს ამ გვარი ზომების მიღება ამ შემთხვევაში ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან; გვაკვირვებს უფრო იმიტომ, რომ რამდენათაც ჩვენ ვიცით, არავითარი კანონიერი უფლება არა აქვს ამას ამ შემთხვევაში ხალხზედ ძალა-დატანებისა. საზოგადოებას თუ სურს დააფუძნოს და მათი სურვილი უმაღლესმა მთავრობამ მიიღო ყურადღებაში და დაუმტკიცა წესდება, ფულებსა თვითონ შეკრებენ და მმართველებსაც ამორჩევენ და თუ არ სურთ, ძალა აქ უადგილოა.

ზემოხსენებული ბანკის დაარსება, მართალია, თუკი რიგიანის გზით წაიყვანეს, სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის; მართალია ისიც, რომ მაზრის უფროსი მოვალეა ეცადოს მის დამარწმუნებელ მაზრაში ყოველი სასარგებლო საქმის შემოღებასა და დაწესებას;—მაგრამ აქ საჭიროა ლმობიერი ქცევა, დარიგებით შეგონება ხალხისა არა პოლიციური ბრძანებით ძალ-დატანებით მოქმედება, რომელიც აფრთხობს, გულს უტეხს ხალხს. ჩვენში ასში ერთმა თუ იცასრა არის ბანკი—სასმელია თუ საჭმელი; მაშასადამე ის პირები, რომლებსაც სურთ დააარსონ, ვალდებულნი არიან აუხსნან ხალხს მისი მნიშვნელობა დაანახონ—თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან იმ დაწესებულებას, რომლისთვისაც დღეს ფულებსა სთხოვენ. ზააცანით ხალხს თქვენი მიზანი, გაიცანით მათი სურვილი და მაშინ ნახავთ, რომ ყველაფერზედ დაგეთანხმებიან.

ძალიან ცუდი დროს-ვატარება შემოიღეს ჩვენს დ. ლაილაშში: ისე ორ-სამ პირს ერთად პური ვერ უჭამიათ, რომ ლანძღვა-გინება და ზოგიერთ შემთხვევაში მუშტებიც არ უთავაზონ ერთმანეთსა. მარტო ბაზრის ხალხში არ გეგონოთ ეს; სამწუხაროდ, უფრო, როგორც აქ ეძახიან, ნასწავლ პირების წრეშიაც მაგრად გაუდგამს ამას ფესვი. სადაც ესენი ესე იქცევიანო, ამბობენ აქაური ბაზრის ბიჭები, ჩვენ რაღას გვიზრახვენო!—და ესენი მუშტთან ხშირად ხანჯალსაც თავაზობენ ერთი მეორეს.

გოლგოთელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარაძევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პარფიუმერია 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—73)

**იურიდიული კაბინეტი**

**იურიდიული ბიბლიოთეკით**

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტექტორის ბილოვის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—4)

**საამო განცხადება.**

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თვისი გემოვნება, იმებოს და მიირთვას ღვინოები **„ალაზნის“** სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის **ორბელის** სახლებში **№** 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

**დასყიდვა აღდგომამდის**

**ინგლისურ მაღაზიაში.**

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაფი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდკა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტახტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტრ 60 კ. გირვანქა. **ახალ-ახალი**-წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ქ. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—4)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, მრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უხაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემხივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—85)

# სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და ისყიდება ნაკლებ ფასად, როგორც პარტიობით ისე წვრილათაც. (5—2)

# ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

სადურგლო და სამალიარო ქარხიდა.

შპალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—3)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ა… ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, … რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტ… ბაკლები, თეფშები, ჩაიჩიკები, სუ… ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლ… ები, სამურველი, ტანისამოსის საკ… კოვზები, დანები, კალმები, ქაღა… კანვერტები, რვეულები, კარანდა… თოფები, რევოლვერები, კრავები, … ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კ… ონკა, უნაგირები, ლაგმები, ფ… ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახ… ხულქები, ტუალეტის საპონი, დუ… შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას … ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონია… ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის … ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის … დათ: ფუთობით 40, 46, 52 და მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. … კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. … კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარის… 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ… (*choke bore*) *George Dau*-ს ფა… კიდამ—120 მან. რევოლვერები 4-… მან. და ბულდოგისა 11—20 მ. … უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის … ხები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ… დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფ… ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თო… ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—94)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (… ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოა… სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვე… ისყიდება წერა-კითხვის საზოგადო… გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


## ტაქსა

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელ… იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დ… ნებში და დატარებით 1 მარტ… 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი…

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |
| მესამის „ | —1 გირ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხ…

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |

ჯვარის-მამის პური:

| | |
|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. |

ძროხის ხორცი:

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |
| სუკი — — | —1 გირ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. |

ღორის ხორცი:

| | |
|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Марта 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მ…